

დამტკიცებულია  
 ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „იკაროსი“  
 დირექტორის 2019 წლის 03 ივნისის N01-09/167 ბრძანებით

## ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „იკაროსი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

### თავი I. ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 1. რეგულირების სფერო და სამართლებრივი საფუძვლები

##### 1. რეგულირების სფერო

1.1. ეს წესი არეგულირებს ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯში “იკაროსი” (შემდგომში კოლეჯი) სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობას, მიღებული განათლების აღიარებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, მათ შორის, დუალური პროგრამების განხორციელების საკითხებს.

1.2. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რეგულირდება პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებებით, კოლეჯის წესდებითა და კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიხედვით.

#### 2. კოლეჯის წინამდებარე წესის სამართლებრივი საფუძვლებია:

- ❖ საქართველოს კანონი “პროფესიული განათლების შესახებ”;
- ❖ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანება “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ”;
- ❖ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის №8/ნ ბრძანება „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“
- ❖ საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“
- ❖ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №120/ნ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“
- ❖ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის ბრძანება N 89/ნ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“
- ❖ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის ბრძანება №127/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“
- ❖ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“

- ❖ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის დადგენილება №244 „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“
- ❖ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 26 დეკემბრის ბრძანება №300 „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020 წლები) დამტკიცების თაობაზე“
- ❖ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №772 „სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენი სპეციალური ანკეტა-კითხვარის ფორმის დამტკიცების შესახებ“
- ❖ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება №99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“
- ❖ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები
- ❖ საბჭოს გადაწყვეტილება კოლეჯის ინსტიტუციური ავტორიზაციის შესახებ

## **მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კოლეჯი - პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“;

ბ) პროფესიული სტუდენტი - პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;

გ) აპლიკანტი - პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტით დადგენილ დამატებით მოთხოვნებს ან/და რომელიც პროფესიულ ტესტირებაზე გასვლის მიზნებისათვის დარეგისტრირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით“ დადგენილი წესით და სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით. პროგრამა აერთიანებს პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო სასწავლო კურსებს/მოდულებს. პროგრამით განისაზღვრება პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები.

ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, აგრეთვე შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების და პროგრამის განხორციელების წინაპირობები, შესარჩევისწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის ალტერნატიული ჩამონათვალი.

ვ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება - კოლეჯისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან დროებით გათავისუფლება, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

ზ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან გათავისუფლება.

- თ) მობილობა - პროფესიული სტუდენტის, ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა.
- ი) შიდა მობილობა - შიდა მობილობა - პროფესიული სტუდენტის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან ამავე დაწესებულებაში სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოდულებისაგან შემდგარ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა.
- კ) ცენტრი - სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
- ლ) ტერმინებს, რომლებიც ამ წესით არ არის განმარტებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული განმარტება.

## თავი II. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

### მუხლი 3. პროფესიული განათლების მიღების უფლება

1. აპლიკანტს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარების და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე, უფლება აქვს მიიღოს პროფესიული განათლება.
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული განათლების მიღების საფუძველს წარმოადგენს, პროფესიული ტესტირების დებულების შესაბამისად, ორგანიზებულ ტესტირებაში (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირება, შემდგომ საფეხურზე - კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტესტირება) მონაწილეობა და შესაბამისი შედეგის მიღება.
3. ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში მონაწილეობის უფლება აქვს ამ დებულებით დადგენილი წესით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირებაზე დარეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელიც სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს შესაბამისი პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დადგენილ დამატებით მოთხოვნებს.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი საფეხურის ტესტირებაში მონაწილეობის უფლება აქვს აპლიკანტს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს შესაბამისი პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დადგენილ დამატებით მოთხოვნებს და სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე.
5. კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტესტირების (რომლის ფორმას და ტესტირების შინაარსს განსაზღვრავს დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით) შედეგების საფუძველზე გამოვლენილი აპლიკანტი, მოიპოვებს სწავლის უფლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე.
6. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, აპლიკანტი ვალდებულია ტესტირების ჩაბარებამდე გაიაროს კონკურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით და მონაწილეობა მიიღოს ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში. აპლიკანტის ჩარიცხვა განხორციელდება მხოლოდ კონკურსის შედეგების გათვალისწინებით.
7. კოლეჯის მიერ განხორციელებულ ტრენინგ-კურსებზე (მოკლევადიანი პროგრამა) ჩარიცხვის შესაძლებლობა აქვს საბაზო განათლების მქონე ნებისმიერ პირს, თუ პროგრამით არ არის განსაზღვრული ბენეფიციართა სტატუსი.

8. ტრენინგ-კურსის (მოკლევადიანი პროგრამა) განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მისი განხორციელების წესის შესახებ;

#### **მუხლი 4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადება**

1. კოლეჯი მიღებას აცხადებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურებზე დაწესებულების საერთო კვოტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული მოდულური პროგრამებისათვის არსებული კვოტის გათვალისწინებით.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე ტესტირების ორგანიზება ხდება ცენტრის მიერ, ხოლო მიღებას აცხადებს კოლეჯი ცენტრის წარდგინებით განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში ცენტრის მიერ დადგენილი ელექტრონული ფორმით, მართვის სისტემის სპეციალური პროგრამის (შემდგომში - სპეციალური პროგრამა) გამოყენებით.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე ტესტირების ორგანიზებასა და მიღების გამოცხადებას ახდენს კოლეჯი, სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი) წარდგინებით სამინისტროს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ელექტრონული ფორმით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალური პროგრამის გამოყენებით.

4. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად და შემდგომ საფეხურებზე მისაღები აპლიკანტთა რაოდენობის არანაკლებ 10%-ს განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის.

#### **მუხლი 5. აპლიკანტთა რეგისტრაცია**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირებაზე რეგისტრაციისათვის აპლიკანტი გადის ავტორიზაციას სპეციალურ ვებგვერდზე და რეგისტრირდება ელექტრონული განაცხადის მეშვეობით ან მიმართავს კოლეჯს, რომელიც რეგისტრაციას ახორციელებს ელექტრონული ფორმით, მართვის სისტემის სპეციალური პროგრამის გამოყენებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის ვადები დგინდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. აპლიკანტს ან კოლეჯს, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის დროს სპეციალურ პროგრამაში შეაქვს შემდეგი მონაცემები:

ა) აპლიკანტის პირადი ნომერი;

ბ) აპლიკანტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;

გ) აპლიკანტისათვის სასურველი საგამოცდო ქალაქის/მუნიციპალიტეტის ადგილმდებარეობა;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების პირველადი საფეხურის/საფეხურების საიდენტიფიკაციო კოდი/კოდები, სადაც აპლიკანტს სურს სწავლის გაგრძელება; აპლიკანტს უფლება აქვს მიუთითოს მხოლოდ ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებზეც განსაზღვრულია საერთო ტესტის ტიპი და შესაბამისი საგანი/საგანთა ჯგუფი. აპლიკანტს უფლება აქვს ტესტირებაზე ჩააბაროს პროფესიული უნარების მხოლოდ ერთი ტესტის ტიპი და შესაბამისი საგანი/საგანთა ჯგუფი;

ე) აპლიკანტის მიერ არჩეული ტესტირების ენა. აპლიკანტს უფლება აქვს მიუთითოს ტესტირების მხოლოდ ერთი ენა;

ვ) აპლიკანტის მიერ ჩასაბარებელი უცხოური ენა. აპლიკანტს უფლება აქვს მიუთითოს მხოლოდ ერთი უცხოური ენა;

ზ) ინფორმაცია აპლიკანტისთვის ადაპტირებული გარემოს/საჭიროების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

თ) მართვის სისტემისა და სამინისტროს მიერ მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.

4. აპლიკანტის მიერ განხორციელებული რეგისტრაცია დასტურდება მის ელექტრონულ ფოსტასა და ტელეფონის ნომერზე ერთჯერადი კოდის გაგზავნით, ხოლო კოლეჯის მიერ განხორციელებული რეგისტრაცია დასტურდება როგორც ერთჯერადი კოდის ელექტრონულ ფოსტასა და ტელეფონის ნომერზე გაგზავნით, ასევე, მართვის სისტემის სპეციალური პროგრამიდან ამონაბეჭდით, რომელზეც ელექტრონულად დაიტანება კოლეჯის რეგისტრაციის განმახორციელებელი თანამშრომლის მონაცემები (სახელი და გვარი) და გადაეცემა აპლიკანტს.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი საფეხურის ტესტირებაზე აპლიკანტი რეგისტრირდება კოლეჯში.

6. კოლეჯი ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ რეგისტრაციას უზრუნველყოფს სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში ელექტრონული ფორმით, მართვის სისტემის სპეციალური პროგრამის გამოყენებით.

7. კოლეჯს, პირის მიმართვის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის დროს მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში შეაქვს შემდეგი მონაცემები:

ა) აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი;

ბ) აპლიკანტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი/ელექტრონული ფოსტის მისამართი;

გ) აპლიკანტის მიერ დამღეული ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხური;

დ) აპლიკანტის მიერ მიღებული პროფესიული კვალიფიკაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შემდგომი საფეხურის/საფეხურების საიდენტიფიკაციო კოდი/კოდები, სადაც აპლიკანტს სურს სწავლის გაგრძელება.

8. კოლეჯის მიერ განხორციელებული რეგისტრაცია დასტურდება მართვის სისტემის სპეციალური პროგრამიდან ამონაბეჭდით, რომელზეც ელექტრონულად დაიტანება კოლეჯის რეგისტრაციის განმახორციელებელი თანამშრომლის მონაცემები (სახელი და გვარი) და გადაეცემა აპლიკანტს.

9. აპლიკანტის თაობაზე საბოლოო მონაცემების შეგროვების შემდეგ თითოეულ აპლიკანტზე, რომელმაც გაიარა რეგისტრაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირებაზე, გაიცემა მოსაწვევი, რომელშიც პერსონალურ მონაცემებთან ერთად მიეთითება ის საგამოცდო ცენტრი, რომელშიც აბარებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირებას, პირველადი საფეხურის ტესტირებაზე ჩასაბარებელი პროფესიული უნარების ტესტი და საგანი/საგანთა ჯგუფი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირების ჩატარების თარიღები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირებაზე რეგისტრაციის დაწყების დრო.

## **მუხლი 6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად ან შემდგომ საფეხურზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და მათი წარდგენის ვადები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. კოლეჯის დირექტორი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ 27-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისა და ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენიდან 2 დღის ვადაში კოლეჯის დირექტორი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე და აფორმებს მათთან ხელშეკრულებას (ხოლო იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი არასრულწლოვანია ან ქმედუუნარო/შეზღუდულ ქმედუნარიანია ხელშეკრულებას ხელს აწერს მის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. ამ შემთხვევაში კოლეჯში წარმოდგენილ უნდა იქნეს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და პროფესიული სტუდენტის დაბადების მოწმობა, რაც ჩაიდება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში. კანონიერი წარმომადგენლობა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტით).

3. დუალური პროგრამის ფარგლებში ფორმდება სამმხრივი ხელშეკრულება კოლეჯს, სასწავლო საწარმოსა და პროფესიულ სტუდენტს (ხოლო იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი არასრულწლოვანია მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან) შორის. დასაშვებია, ხელშეკრულება დაიდოს სასწავლო საწარმოსა და პროფესიულ სტუდენტს (ხოლო იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი არასრულწლოვანია მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან) შორის.

4. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს კოლეჯი ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში ასახავს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მართვის საინფორმაციო სისტემაში.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, პროფესიული ტესტირების ჩატარების, ასევე კოლეჯში პროფესიულ/მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული საკითხები, რაც არ არის გათვალისწინებული აღნიშნულ წესში, რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით“.

### **მუხლი 7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურენოვანი ტესტირების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის გაგრძელება**

1. კოლეჯის მიერ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ აპლიკანტის ჩარიცხვის შემთხვევაში, რომელმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით, კოლეჯი ამ პირთათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლებას დაიწყებს ქართული ენის მოდულით (მოდული - „ქართული ენა A2“, მოდულის მოცულობა - 15 კრედიტი).

2. „ქართული ენა A2“ მოდულის დაძლიების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და ის უფლებამოსილია:

ა) სწავლა განაგრძოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი (დადგენილი წესის მიხედვით მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის) განცხადების საფუძველზე, შემდგომი ტესტირების ფარგლებში ამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად ისარგებლოს შიდა მობილობით მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად გადავიდეს ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ იმ პროფესიულ სპეციალიზაციაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, რომელზეც სწავლობდა იგი მობილობის განხორციელებამდე;

დ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა არ მოაკლდება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა მომდევნო მიღებისათვის დადგენილ მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.
4. პროფესიული სტუდენტის მიერ „ქართული ენა A2“ მოდულის სწავლის შედეგების დაუძლეველობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

#### **მუხლი 8. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ტესტირება და ჩარიცხვა**

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირებაში მონაწილეობის მიღების უფლება აპლიკანტს წარმოეშობა ექსპერტთა გუნდის დასკვნის საფუძველზე.
2. სსსმ აპლიკანტის ცენტრის მიერ ორგანიზებულ (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხური) ტესტირებაში რეგისტრაციის, მონაწილეობის, ტესტირების მიმდინარეობა რეგულირდება პროფესიული ტესტირების დებულებით.
3. სსსმ აპლიკანტის კოლეჯის მიერ ორგანიზებულ (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი საფეხური) ტესტირებაში რეგისტრაციას ახორციელებს კოლეჯი, სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში ელექტრონული ფორმით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალური პროგრამის გამოყენებით.
4. რეგისტრაციისას, კომისია, რომელიც იქმნება პროფესიულ ტესტირებაზე სსსმ აპლიკანტთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად საფეხურებზე ჩარიცხვის მიზნით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს უწყევს კონსულტაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევაში. სთავაზობს მას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების იმ ჩამონათვალს, რომლისთვისაც კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე ჩარიცხვის მიზნით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს ან კოლეჯს რეგისტრაციის დროს, მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში შეაქვს შემდეგი მონაცემები:
  - ა) აპლიკანტის პირადი ნომერი;
  - ბ) აპლიკანტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;
  - გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების პირველადი საფეხურის/საფეხურების საიდენტიფიკაციო კოდი/კოდები (არაუმეტეს სამისა), სადაც აპლიკანტს სურს სწავლის გაგრძელება;
  - დ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობა - სპეციალურ გრაფაში.
6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის მიერ განხორციელებული რეგისტრაცია დასტურდება მის ელექტრონულ ფოსტასა და ტელეფონის ნომერზე ერთჯერადი კოდის გაგზავნით, ხოლო კოლეჯის მიერ განხორციელებული რეგისტრაცია დასტურდება როგორც ერთჯერადი კოდის ელექტრონულ ფოსტასა და ტელეფონის ნომერზე გაგზავნით, ასევე, მართვის სისტემის სპეციალური პროგრამიდან ამონაბეჭდით, რომელზეც ელექტრონულად დაიტანება კოლეჯის რეგისტრაციის განმახორციელებელი თანამშრომლის მონაცემები (სახელი და გვარი) და გადაეცემა აპლიკანტს.
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის მიზნით კოლეჯს რეგისტრაციის დროს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალურ პროგრამაში შეაქვს შემდეგი მონაცემები:
  - ა) აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი;
  - ბ) აპლიკანტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი/ელექტრონული ფოსტის მისამართი;
  - გ) აპლიკანტის მიერ დამლეული ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხური;
  - დ) აპლიკანტის მიერ მიღებული პროფესიული კვალიფიკაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - ე) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობა - სპეციალურ გრაფაში.

ვ) იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შემდგომი საფეხურის/საფეხურების საიდენტიფიკაციო კოდი/კოდები, სადაც აპლიკანტს სურს სწავლის გაგრძელება (არაუმეტეს სამისა).

8. კოლეჯის მიერ განხორციელებული რეგისტრაცია დასტურდება მართვის სისტემის სპეციალური პროგრამიდან ამონაბეჭდით, რომელიც გადაეცემა აპლიკანტს.

9. რეგისტრაციის შემდეგ სსსმ აპლიკანტი ვალდებულია კოლეჯს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ექსპერტთა გუნდის დასკვნა, რომლითაც დასტურდება სსსმ აპლიკანტის სპეციალური/დამატებითი საგანმანათლებლო საჭიროება, დამოწმებულს ექსპერტთა გუნდის მინიმუმ სამი წევრის ხელმოწერით;

ბ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლითაც სსსმ აპლიკანტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდა ცალკეულ კლასში/სემესტრში ან საფეხურის ბოლო კლასში, დამოწმებულს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სამუშაო ჯგუფის ან/და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ხელმოწერებით;

გ) სენსორული (სმენის და მხედველობის) დარღვევის შემთხვევაში:

გ.ა) აუდიოგრამა (სმენის დარღვევისას);

გ.ბ) ოფთალმოლოგის მიერ გაცემული ცნობა (მხედველობის დარღვევისას);

დ) შესაბამისი სპეციალისტის მიერ გაცემულ სამედიცინო ცნობა, ქცევითი და ემოციური აშლილობისას;

ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

10. სსსმ აპლიკანტის ტესტირება მოიცავს მათ მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი/შემდგომი საფეხურის შესატყვისი აქტივობების პრაქტიკულ მოსინჯვას.

11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირების უზრუნველსაყოფად, კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უზრუნველყოფს საგამოცდო კომისიის/კომისიების შექმნას, რომლის აუცილებელი წევრები არიან კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომელი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პირის ასისტენტი და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელი. საჭიროების შემთხვევაში, ჟესტური ენის თარჯიმანი.

12. აპლიკანტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების ან უარყოფის მიზნით, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის მიმდინარეობისას კოლეჯი ყოველ მეორე სამუშაო დღეს, რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ კი მომდევნო სამუშაო დღეს, უზრუნველყოფს დარეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ბაზების სამინისტროსთვის მიწოდებას.

13. ტესტირების (პრაქტიკული მოსინჯვის) საფუძველზე სსსმ აპლიკანტის შეფასების წესი რეგულირდება დებულებით. შეფასების შემდგომ სსსმ აპლიკანტთა კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად ან შემდგომ საფეხურებზე გადანაწილება ხდება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

14. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი/შემდგომი საფეხურისათვის კოლეჯის მიერ გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად ან შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის შესახებ რეკომენდაციის შემუშავებისას კომისია მხედველობაში იღებს აპლიკანტის რეგისტრაციის დროს (თვე, რიცხვი, საათი, წუთი, წამი).

15. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და დოკუმენტაციის წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე სწავლის დაწყებამდე,



კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე და აფორმებს ხელშეკრულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთან (ხოლო იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი არასრულწლოვანია, ქმედუნაროა/შეზღუდულ ქმედუნარიანია მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან).

### **თავი III. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა, მოზილობა და მიღებული განათლების აღიარება**

#### **მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის შეჩერება**

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
2. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს კოლეჯს განცხადებით, მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნა დაუშვებელია თუ განცხადების შეტანის მომენტისათვის არსებობს პროფესიული სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.
4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
  - ა) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა;
  - ბ) აკადემიური შვებულება, რომელიც შეიძლება პროფესიულ სტუდენტს მიეცეს:
    - სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო;
    - მძიმე ავადმყოფობის გამო;
    - ოჯახის ავადმყოფ წევრზე მეურვეობის გამო;
    - ორსულობისა და ახალშობილის მოვლის გამო;
    - უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების გამო;
  - გ) სწავლის საფასურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობა.
  - დ) სხვა საპატიო მიზეზი.
5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, კოლეჯი და პროფესიული სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე.
6. პროფესიული სტუდენტის შეჩერებული სტატუსის აღდგენა დასაშვებია ამ წესითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.
7. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სტატუსის შეჩერებიდან 2 წლის განმავლობაში. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ კოლეჯი უფლებამოსილია შეუწყვიტოს პირს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

#### **მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
  - ა) შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
  - ბ) პირადი განცხადება;
  - გ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;
  - დ) დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა ან სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას;

- ე) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;
- ვ) კოლეჯის წესდების, შინაგანაწესის, სხვა შიდა სამართლებრივ აქტების უხეში ან/და სისტემატური დარღვევა, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს კოლეჯს, მის პროფესიულ სტუდენტებს, თანამშრომლებს;
- ზ) გარდაცვალება.
2. პროფესიული სტუდენტი, რომელიც შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში არ გამოცხადებულა ლექციებზე, არ შეუტყობინებია გაცდენის მიზეზი და ადმინისტრაციისთვის არ მიუმართავს განცხადებით, ამოირიცხება ჯგუფიდან.
3. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არასაკმარის მიზეზით გააცდენს ცალკეული საფეხურის საკონტაქტო საათების 30%-ზე მეტს, სასწავლო პროცესის/სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორი შეუწყვეტს პროფესიული სტუდენტის სტატუსს; საკონტაქტო საათების 10%-ზე მეტის გაცდენის შემდეგ აუცილებელია პროფესიულ სტუდენტს გაეგზავნოს წერილობითი გაფრთხილება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსალოდნელ შეწყვეტასთან დაკავშირებით.
4. პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც არ ან ვერ გაიარა კოლეჯის მიერ მისთვის გამოყოფილ ადგილზე საწარმოო პრაქტიკა, ან არ იცავდა და უხეშად არღვევდა საწარმოო პრაქტიკის განრიგსა და ქცევის წესებს, შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.
5. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც ვერ/არ გამოცხადდება დასკვნით გამოცდებზე ან ვერ მიიღებს დამაკმაყოფილებელ შეფასებას, შეუწყდება სტუდენტის სტატუსი. დასკვნით გამოცდებზე პროფესიული სტუდენტის განმეორებით გასვლის წესს შესაბამისი განცხადების და მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ადგენს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

### **მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის აღდგენა**

1. სტუდენტის სტატუსის ხელახლა მოპოვების (აღდგენა) უფლება აქვს სტუდენტს, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი და სტატუსის შეჩერებიდან არ არის გასული 2 წელზე მეტი;
2. სტუდენტის სტატუსის აღდგენის სურვილის შემთხვევაში, პირი ვალდებულია კოლეჯს მიმართოს წერილობითი განცხადებით სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე.
3. სტატუსის აღდგენის წესით კოლეჯში ჩარიცხვა ხორციელდება პროფესიული განათლების შესაბამის საფეხურზე/დონეზე, რომელზეც შეუჩერდა სტუდენტს სტატუსი.

### **მუხლი 12. სტუდენტთა მობილობა**

1. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის დროისათვის წარმოადგენს კოლეჯის ან სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს, მიუხედავად იმისა შეჩერებული აქვს თუ არა მას სტუდენტის სტატუსი.
2. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. დაუშვებელია პროფესიული განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის პროგრამაზე მობილობის განხორციელება.
3. მობილობის წესით მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, იმ მიმართულებებისა და პროგრამების მითითებით, რომელზეც მიზანშეწონილია პროფესიულ სტუდენტთა მიღება.
4. მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას მოიპოვებენ ვაკანტური ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა პროფესიული ტესტირების ქულა (საკონკურსო ქულა) აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.

5. მობილობის წესით სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში.

6. პროფესიული სტუდენტის მობილობის/შიდა მობილობის შემთხვევაში ვაუჩერული დაფინანსების გადატანის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებით “პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე”.

7. კოლეჯი უფლებამოსილია პროფესიულ სტუდენტს შესთავაზოს მობილობა თუ:

ა) სწავლის მიმდინარეობისას ჯგუფში დარჩა პროფესიულ სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობა და კოლეჯს არ ჰყავს ამავე სპეციალობაში სხვა ჯგუფი;

ბ) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

8. მობილობა დასაშვებია თუ არსებობს შემდეგი პირობების ერთობლიობა:

ა) დაცულია ამ მუხლით დადგენილი მობილობის ვადები;

ბ) არსებობს ადგილი იმ ჯგუფში, სადაც იგეგმება პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით გადაყვანა;

გ) მობილობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ ერთი და იგივე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

დ) მობილობა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

9. შიდა და გარე მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარებას ახორციელებს კოლეჯი.

### **მუხლი 13. გარე მობილობის გახორციელების წესი**

1. გარე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პროფესიული სტუდენტი ვალდებულია კოლეჯში შეიტანოს განცხადება მობილობის შესახებ, აგრეთვე წარადგინოს სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ინფორმაცია განვლილი საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის) შესახებ.

5. მობილობის მსურველი პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა შესაძლებელია გახდეს პირის მობილობის წესით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.

6. მობილობის მსურველ პირთა განცხადებების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორმა შესაძლებელია შექმნას კომისია. კომისიის მიერ განხილვის შედეგები ეცნობება დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.

7. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ერთი და იმავე პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის) ფარგლებში, ასევე ერთი და იმავე მიმართულების სხვადასხვა პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის) ფარგლებში;

8. მობილობის განსახორციელებლად საჭიროა ორივე სასწავლებლის დირექტორის თანხმობა, პროფესიული პროგრამის თავსებადობა, დადებითი პასუხის შემთხვევაში მიმღები საგანმანათლებლო დაწესებულება გამოითხოვს საგანმანათლებლო დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც იგი ჩაირიცხა სასწავლებელში და სტუდენტის პირად საქმეში არსებულ სხვა დოკუმენტაციას.

9. ამ წესით დადგენილი პირობებისა და მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის თანხმობის საფუძველზე კოლეჯში შემუშავდება დირექტორის ბრძანების პროექტი მობილობის წესით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ.

#### **მუხლი 14. შიდა მობილობის გახორციელების წესი**

1. შიდა მობილობა გულისხმობს პროფესიული სტუდენტის ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან გადასვლას იმავე მიმართულების სხვა პროგრამაზე.
2. შიდა მობილობის წესით ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან იმავე მიმართულების სხვა პროგრამაზე გადასვლის უფლება აქვს ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსის“ პროფესიულ სტუდენტს.
3. შიდა მობილობა შეიძლება განხორციელდეს ერთი და იმავე მიმართულების სხვადასხვა პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის) ფარგლებში;
4. შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პროფესიული სტუდენტი ვალდებულია შიდა მობილობის გახორციელების თაობაზე განცხადებით მიმართოს კოლეჯის დირექტორს.
6. პირის შიდა მობილობის შესახებ დირექტორი გამოსცემს ბრძანებას რაც 3 დღის ვადაში დაფიქსირდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ელექტრონულ რეესტრში.
7. პროფესიულ სტუდენტთან, რომელმაც მოიპოვა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის უფლება, კოლეჯი აფორმებს ხელშეკრულებას ან შეთანხმებას (სტუდენტთან დადებულ მოქმედ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მიზნით).

#### **მუხლი 15. სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება**

1. კოლეჯი ადგენს მის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.
2. აღიარების მსურველ პირთა განცხადებების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია.
3. აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. გარე მობილობის შემთხვევაში, კრედიტების აღიარების მიზნით, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან პროფესიულმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ხდება სტუდენტის მიერ მიღებული ფორმალური განათლების აღიარება და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.
5. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს პროფესიული სტუდენტის მიერ განვლილი და კოლეჯის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.
6. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს პროფესიული სტუდენტის მიერ განვლილი და კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების შესაბამისობა.
7. კოლეჯი უფლებამოსილია, გასაუბრების ან/და გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველი პირის მიერ მიღებული პროფესიული განათლების თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან.
8. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების აღიარება გულისხმობს პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული

კრედიტების და სწავლების შედეგების შედარებას კოლეჯის იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან, რაზეც პირს სურს სწავლის გაგრძელება ან განახლება.

9. კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარებისათვის შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (სასწავლო კურსი/მოდული, სილაბუსი/კალენდარული გეგმა) ან დამატებით სხვა ინფორმაცია რომლის წარდგენის ვალდებულება ეკისრება პროფესიულ სტუდენტს.

10. პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგნების/მოდულების და მათი სწავლის შედეგების შინაარსობრივი კვლევის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს იდენტურობა პროფესიული სტუდენტის მიერ განვლილ დისციპლინასა და კოლეჯის პროგრამით გათვალისწინებულ სხვა დისციპლინას შორის.

11. პროგრამის კრედიტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებაში დეტალურად მიეთითება შესაბამისობები და შეუსაბამობები სტუდენტის მიერ გავლილ პროგრამასა და კოლეჯის პროგრამას შორის.

12. აღიარების კომისიის მიერ მიღებული განხილვის შედეგები ეცნობება კოლეჯის დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

13. კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში სტუდენტის მიერ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების შესახებ, მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა კოლეჯის პროგრამასთან და ასევე, აღიარებული კრედიტების რაოდენობა.

#### თავი IV. სტუდენტის შეფასების სისტემა

##### მუხლი 16. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (საგნობრივი პროგრამები) ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

5. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

**მუხლი 17. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამა) პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

1. სტუდენტთა მიღწევების შეფასება უწყვეტი და სწავლების სრული ციკლის თანამდევური პროცესია. პროფესიული სტუდენტისთვის შეფასება მიმდინარეობს მთელი სასწავლო პერიოდის მანძილზე.
2. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
3. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე, ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
4. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
5. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულური პროგრამის მიმდინარეობის პროცესში.
6. თუ მოდული მოდულზე დაშვების წინაპირობაა პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში დაადასტუროს წინმსწრები მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგი/შედეგები.
7. აღნიშნული მუხლის მე- 5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში სწავლის შედეგების არ/ვერ დადასტურება ითვლება სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად და სტუდენტს აღარ აქვს მომდევნო მოდულზე სწავლის, შესაბამისად, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.
8. მოდულის დასრულებიდან არანაკლებ 10 დღის ვადაში (არ იგულისხმება წინმსწრები მოდულის დასრულება) მოდულის განმახორციელებელი, სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს დირექციას და მოითხოვოს განმეორებითი შეფასების გადავადება არა უგვიანეს პროგრამის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, განმეორებით შეფასებაზე პროფესიული სტუდენტის არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად. **17.8.** შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის /წინაპირობების დაძლევის გარეშე.
9. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს ასევე, შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად შეფასება.
10. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.
11. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებშიც: ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა); ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურებით;
12. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების შემთხვევაში, ანუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური პროგრამა) საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი მენტორი/ინსტრუქტორი.
13. კოლეჯსა და საწარმოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, განრიგის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტი მუშაობს კომპანიაში/საწარმოში ინსტრუქტორის ზედამხედველობის ქვეშ, აწარმოებს სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, რომელსაც ამოწმებს ინსტრუქტორი და მიღწევის შემთხვევაში, უდასტურებს სწავლის შედეგებს, რასაც სტუდენტი შერჩევით ადასტურებს შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის დროს.
14. სწავლის შედეგების დადასტურება ხდება სამინისტროს მიერ დადგენილი წესებით და კოლეჯის რეგულაციების შესაბამისად.

## **მუხლი 18. პროფესიული სტუდენტის შეფასების გასაჩივრების წესი**

1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსია გაასაჩივროს შეფასება.
2. გასაჩივრების შემთხვევაში შედეგის გაცნობიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში პროფესიულმა სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს დირექტორს, რომელიც არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას შედეგის კომისიური წესით განხილვა/არ განხილვის თაობაზე (სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი და პროფესიული განათლების მასწავლებლები).
3. კომისია 2 სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების საკითხს და საკმარისი/ავთენტური მტკიცებულების არ არსებობის შემთხვევაში შესაძლოა დაინიშნოს განმეორებითი შეფასება. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2 დღის პერიოდში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს.
4. დაწესებულება არ არის უფლებამოსილი არსებული შეფასების საფუძველზე შეუწყვიტოს პროფესიულ სტუდენტს სტატუსი სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებამდე.

## **თავი V. კვალიფიკაციის მინიჭების და საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის პროცედურები/დუბლიკატის გაცემის პროცედურები**

### **მუხლი 19. კვალიფიკაციის მინიჭება**

1. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურისათვის სტანდარტითა და კოლეჯის პროგრამით დადგენილი კრედიტების დაგროვების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია;
2. პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის საბოლოო შეფასება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ თითოეულ სასწავლო კურსში შეადგენს მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 51%-ს.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები (ყველა ზოგადი სავალდებულო, პროფესიული სავალდებულო და არჩევითი მოდულებით განსაზღვრული კრედიტების მიღებით).
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.
5. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი საგამოცდო კომისია პროფესიულ სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსებში/მოდულებში მიღებული შედეგების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, რის თაობაზე დგება კომისიის ოქმი.
6. საგამოცდო კომისიის ოქმის საფუძველზე პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს (ბრძანებას).

### **მუხლი 20. დიპლომის გაცემის წესი**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტზე, რომელსაც დადგენილი წესით მიენიჭება კვალიფიკაცია, გაიცემა შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი;

2. საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამლევის შედეგად პირს ენიჭება შესაბამისად ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის კვალიფიკაცია, რაც დასტურდება შესაბამისი დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემით.
3. დიპლომი, რომელიც გაცემულია იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამლევის შედეგად, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დიპლომის გაცემის წინაპირობაა პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დადასტურება.
5. პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება სერტიფიკატითა და დანართით.
6. მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, მოთხოვნის შემთხვევაში, დასტურდება სერტიფიკატითა და დანართით.
7. მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად დაუდასტურებლობის შემთხვევაში კოლეჯი, მოთხოვნის შემთხვევაში, გასცემს ცნობას აღნიშნული მოდულის ფარგლებში დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ.
8. დიპლომის ფორმა შეესაბამება “უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის N126/ნ ბრძანების მოთხოვნებს.
9. შევსებული დიპლომის რეგისტრაცია მიმდინარეობს დიპლომების რეგისტრაციის ჟურნალში.
10. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი დიპლომის გაცემა მფლობელზე წარმოებს პიროვნების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის საფუძველზე (არასრულწლოვნის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის საფუძველზე).
11. დიპლომის გაცემა რწმუნებულ პირზე ხდება შესაბამისი მინდობილობისა და პიროვნების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემთხვევაში (მინდობილობა რჩება ადგილზე).
12. დიპლომების (პროფესიული დიპლომის დუბლიკატები) შენახვასა და გაცემას ახორციელებს კოლეჯის საქმისმწარმოებელი.
13. დიპლომი გაიცემა კურსდამთავრებულზე, რომელიც დიპლომის გაცემაზე უფლებამოსილ პირს წარუდგენს შესაბამისი პირების მიერ ხელმოწერილ შემოვლის ფურცელს, რომლითაც დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტს არ გააჩნია რაიმე სახის ფინანსური და/ან მატერიალური დავალიანება, ასევე დავალიანება ბიბლიოთეკაში.
14. დიპლომის მფლობელი ან რწმუნებული პირი ხელმოწერით ადასტურებს დიპლომის მიღების ფაქტს დიპლომის რეგისტრაციის ჟურნალში.

## **მუხლი 21. დიპლომის დუბლიკატის გაცემის წესი**

1. დუბლიკატი გაიცემა იმ პირზე, რომლის დიპლომი აღარ არსებობს ან გახდა გამოსაყენებლად უვარგისი.
2. დიპლომის დუბლიკატის გაცემაზე უფლებამოსილია კოლეჯი.
3. დაინტერესებულმა პირმა დიპლომის დუბლიკატის მიღების მოთხოვნით კოლეჯში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
  - ა) განცხადება კოლეჯის დირექტორის სახელზე;
  - ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - გ) დიპლომის ორიგინალი (არსებობის შემთხვევაში).



4. დიპლომის დუბლიკატის გაცემის შემთხვევაში, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გაუქმებულად ცხადდება კურსდამთავრებულის სახელზე გაცემული პროფესიული დიპლომი.
5. უფლებამოსილი პირის განცხადების საფუძველზე, საარქივო დოკუმენტაციასა და დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალზე დაყრდნობით კოლეჯი გასცემს დიპლომის დუბლიკატს ან იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას დიპლომის დუბლიკატის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.
6. დუბლიკატის შედგენისას ივსება კოლეჯის მიერ დამტკიცებული დიპლომის ფორმა, რომელსაც დაესმება შტამპი აღნიშვნით „დუბლიკატი“.
7. კოლეჯის კურსდამთავრებულთა დიპლომების დუბლიკატების რეგისტრაციას აწარმოებს კოლეჯის საქმისმწარმოებელი დიპლომების რეგისტრაციის ჟურნალში, სადაც შენიშვნის გრაფაში მიეთითება „დუბლიკატი“.
8. დუბლიკატის გაცემასთან დაკავშირებული, საკითხები რაც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლით, რეგულირდება “უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის N126/ნ ბრძანებით.

**თავი VI. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა**

**მუხლი 22. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.
2. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

**მუხლი 23. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებები**

1. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტთა სწავლება მიმდინარე ჯგუფებში უნდა განხორციელდეს მოდიფიცირებული პროგრამების შესაბამისად, საჭიროა პროგრამის მოდულების სწავლის შედეგების და მათი შესაბამისი კრიტერიუმების ერთმანეთთან შესაბამისობის დადგენა და აღიარება;
3. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების სწავლის შედეგების და მათი შესაბამისი კრიტერიუმების ერთმანეთთან შესაბამისობის დადგენის და აღიარების მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით (ბრძანება) ქმნის კომისიას;

4. კომისია ადგენს მოდიფიცირებული პროგრამის მოდულების სწავლის შედეგების თავსებადობას მოდიფიცირებამდე არსებულ სწავლის შედეგებთან, რაც ფორმდება კომისიის შესაბამისი ოქმით;
5. თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის პროგრამის მოდულის/მოდულების სწავლის შედეგების აღიარებას, კომისიის ოქმის საფუძველზე ახორციელებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით (ბრძანება);
6. თუ მოდიფიცირებული პროგრამის მოდულის რომელიმე კრიტერიუმი ან სწავლის შედეგი შეუსაბამოა მოდიფიცირებამდე არსებული პროგრამის კრიტერიუმებთან და სწავლის შედეგებთან, პროფესიულ სტუდენტს უფლება ეძლევა გაიაროს შესაბამისი კრიტერიუმის დასაძლევად საჭირო საათები სასწავლო გეგმის შესაბამისად;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების შედეგად პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობისა და კრედიტების ცვლილების შესახებ კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის ფორმდება წერილობითი შეთანხმება.